ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №45

ქ. ბათუმი, **04 მარტი 2021 წელი**

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, **,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"** საქართველოს კანონის **(მუხლი: 3, პუნქტი 1, ,,ს[1]" ქვეპუნქტი)** და **,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" (მუხლი 2, ,,ა" ქვეპუნქტი)** შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომ - ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ზურაბ ჭურკვეიძის სახით, ერთი მხრივ და შ.პ.ს. ,,კანცბუმი" (შემდგომ - ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი, დირექტორის ხვიჩა ანთაძის სახით, მეორე მხრივ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომ - ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ყველა თანდართული დოკუმენტით;

1.2. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელზედაც გაფორმებულია ხელშეკრულება;

1.3. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. შესყიდვის ობიექტი - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილ **CPV** კოდებში მოქცეული შესყიდვის ობიექტების (შემდგომ - ,,საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა, კერძოდ:

- **CPV- 35800000 -** ინდივიდუალური და დამხმარე მოწყობილობები;
- **CPV-44500000** - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები.

2.2. 2.1. პუნქტით წარმოდგენილ CPV კოდს შეესაბამება კონკრეტულ საქონელთა დეტალური ჩამონათვალი, რომელთა აღწერილობა, შესყიდვის ობიექტის დასახელება, ზომის ერთეული, ერთეულის ფასი და ღირებულება თანდართულია ხელშეკრულებაზე **დანართი №1-ით**, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი, ვადები და ღირებულება

3.1. საქონლის მიწოდება მოხდება ერთჯერადად, მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან **2021 წლის 25 მარტის ჩათვლით;**

3.2. საქონლის მიწოდება მოხდება, მისამართზე: **ქ. ბათუმი, ტაბიძე/აღმაშენებლის კვეთა;**

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 192 **(ასოთხმოცდათორმეტი)** ლარს;

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესასყიდი საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს. კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

მუხლი 4. საქონლის შესაბამისობა და მიღება-ჩაბარება

4.1. საქონელი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს;

4.2. 4.1.პუნქტით გასათვალისწინებელი სტანდარტებიდან გამომდინარე ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები;

4.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად;

4.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის და ხელახლა კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.5. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.6.მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხელმოწერით.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში, **დანართი №2-ით** განსაზღვრული პერიოდის (კვარტალი) მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული და ჩაბარებული საქონლის რაოდენობის გათვალისწინებით, სათანადო საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე, შესასყიდი საქონლის წინამდებარე **ხელშეკრულების 4.1.-4.6**. პუნქტების შესაბამისად მიღების შემდეგ.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო საანგარიშსწორებო დოკუმენტების შემსყიდველისათვის ელექტრონული სახით წარდგენა, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს ანგარიშსწორება საანგარიშსწორებო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, მათი დადასტურებიდან **არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო** დღის ვადაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **,,მიმწოდებელი" ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს ,,შემსყიდველს" საქონელი დროულად, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

ბ) შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.2. ,,მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

6.3. ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოითხოვოს ფაქტობრივად მიწოდებული და ჩაბარებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით დადგენილ ვადებში.

6.4. **,,შემსყიდველი" ვალდებულია** მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით დადგენილ ვადებში.

6.5. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს ,,მიმწოდებლისაგან" შესასყიდი საქონლის მიწოდება დროულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით დადგენილ ვადებში, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

ბ) მოითხოვოს ,,მიმწოდებლისაგან" საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად წუნდებული საქონლის შეცვლა, დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

გ) უარი თქვას საქონლის მიღებაზე თუ მოწოდებული საქონელი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის ვადების დარღვევის შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი გადაცილებული დღისათვის, მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების **0.02%-ი.**

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულების, ხოლო ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების **2%-ი.**

7.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **2%-ს,** მეორე მხარეს უფლება აქვს

შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

8.1. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს, თავისი წარმომადგენლ(ებ)ის მეშვეობით, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რაც გულისხმობს შემსყიდველის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის ხარისხისა და ვალდებულების შესრულების ვადების დაცვის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე და შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენს:

ვლადიმერ ჭყონია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი;

მინდია ფალავანდიშვილი - აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ლოჯისტიკის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის შედეგად ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან;

9.2. ხელშეკრულება მოქმედებს **2021 წლის 25 აპრილის ჩათვლით.**

მუხლი 10. ზოგადი დებულებები

10.1. ხელშეკრულების პირობებში გადახრა ან ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

10.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის ზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს **სამოქალაქო კოდექსის 398-ე** მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.3. შესასყიდი საქონლის ფასი ფიქსირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით (დანართით) და შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს **5 (ხუთი)** კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

10.6. მხარეები თანხმდებიან, რომ:

ა) ურთიერთობები, რომლებიც არ იქნება რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა დარეგულირდეს საქართველოს კანონმდებლობით;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს ჯარიმის თანხის სრულად დაფარვის მომენტამდე, ანგარიშსწორების ნაწილში საბოლოო ანგარიშსწორებამდე;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების **3.3.** პუნქტით განსაზღვრული ჯამური ღირებულების მთლიანად აუთვისებლობის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს, აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებად ჩაითვლება ფაქტიურად ათვისებული თანხა, რაც ცალკე წერილობით შეთანხმებას აღარ საჭიროებს;

დ) არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

ე) თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, **2 (ორი)** ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, აქედან **1 (ერთი)** ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან", ხოლო **მეორე**

ეგზემპლარი ,,მიმწოდებელთან”.

მუხლი 11. დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, ,,ფორსმაჟორული” გარემოებების დადგომის შემთხვევაში, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს;

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორსმაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ;

11.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება ,,ფორსმაჟორული” გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირ(ებ)ი, ასევე ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი, **,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“** საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუხლი 13. დავათა განხილვის წესი

მხარეები ვალდებული არიან შეეცადონ ყოველგვარი დავა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. თუ მხარეები ვერ გადაჭრიან დავას ურთიერთშეთანხმების გზით, დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

მუხლი 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	შ.პ.ს. ,,კანცბუმი“
მის.: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37 საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749 სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინის ბანკის კოდი: TRESGE22	მის.: ქ. ბათუმი, ტაბიძე/აღმაშენებლის კვეთა საიდენტიფიკაციო კოდი: 445 468 388 მიმღების ბანკი: სს ,,პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი: MIBGGE22 ა/ა: GE94PC0033400100000055
აპარატის უფროსი:	**დირექტორი:**
---------- ზ. ჭურკვეიძე	LTD KANCBUMI Digitally signed by LTD KANCBUMI Date: 2021.03.05 16:08:16 +04'00' ---------- ხ. ანთაძე

2021 წლის 04 მარტი №45 ხელშეკრულების

დანართი №1

(ლარი)

CPV კოდი	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება სულ
	1	2	3	4	5
35800000	საქართველოს დროშა სამაგიდე	ცალი	3	8	24
	აჭარის ა/რ დროშა სამაგიდე	ცალი	3	8	24
ჯამური ღირებულება:					48
44500000	დროშის სამაგრი	ცალი	2	55	110
	დროშის სამაგრი	ცალი	2	17	34
ჯამური ღირებულება:					144
სულ ჯამური ღირებულება:					192

„შემსყიდველი“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

მის.: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინის ბანკის კოდი: TRESGE22

აპარატის უფროსი:

---------- ზ. ჭურკვეიძე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „კანცბუმი“

მის.: ქ. ბათუმი, ტაბიძე/აღმაშენებლის კვეთა
საიდენტიფიკაციო კოდი: 445 468 388
მიმღების ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE94PC0033400100000055

დირექტორი:

LTD KANCBUMI Digitally signed by LTD KANCBUMI Date: 2021.03.05 16:08:47 +04'00'

---------- ხ. ანთაძე

2021 წლის 04 მარტი №45 ხელშეკრულების

დანართი №2

(ლარი)

გადახდის პერიოდი	გადასახდელი თანხის ოდენობა
I კვარტალი	192
სულ ჯამი:	**192**

„შემსყიდველი“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

მის.: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინის ბანკის კოდი: TRESGE22

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „კანცბუმი“

მის.: ქ. ბათუმი, ტაბიძე/აღმაშენებლის კვეთა
საიდენტიფიკაციო კოდი: 445 468 388
მიმღების ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE94PC0033400100000055

აპარატის უფროსი:

---------- ზ. ჭურკვეიძე

დირექტორი:

LTD KANCBUMI Digitally signed by LTD KANCBUMI Date: 2021.03.05 16:09:16 +04'00'

---------- ხ. ანთაძე